

„Georgia Capital“-ის ევრო-ობლიგაციები

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	49834
დარგი:	წარმოება და მომსახურება
შეტყობინების სახე:	კერძო სექტორი
გარემოსდაცვითი კატეგორია:	B
საბჭოზე განხილვის თარიღი:	2018 წლის 27 თებერვალი
სტატუსი:	ხელმოწერილია
განსაჯაროების თარიღი	2018 წლის 13 მარტი

პროექტის აღწერა

„Georgia Capital“-ის მიერ შემოთავაზებული პირველი ევრო-ობლიგაციების შესყიდვა (60 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით), რომელთა კვოტირება და ვაჭრობა ირლანდიის საფონდო ბირჟაზე განხორციელდება. ეს იქნება საქართველოში მოქმედი კერძო კომპანიის (არა სახელმწიფო და არა საფინანსო კომპანიის) მიერ ევრო-ობლიგაციის განთავსების პირველი შემთხვევა.

პროექტის მიზნები

ამ პროექტის ფარგლებში, „Georgia Capital“ გრძელვადიან საერთაშორისო კაპიტალურ ბაზრებზე წვდომას მოიპოვებს და მოახდენს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას. ყოველივე ეს მისი შვილობილი კომპანიების შემდგომ ზრდას შეუწყობს ხელს - გაფართოებისა და მოდერნიზაციის გეგმების დაფინანსების გზით. ასევე, მეტი კაპიტალდაბანდება განხორციელდება არსებულ და ახალ სექტორებში.

ობლიგაციებიდან მიღებული სახსრების გადასესხება მოხდება „Georgia Capital“-ის შვილობილ კომპანიებზე, რათა მოხდეს მათი კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. ეს რესურსი გამოყენებული იქნება ასევე კომპანიის დონეზე არსებული სესხის რეფინანსირებისთვის.

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

პროექტის შედეგად ეკონომიკური გარდაქმნის მოსალოდნელი ეფექტი მომდინარეობს ახალი ფინანსური ინსტრუმენტის გამოჩენასთან დაკავშირებული ეფექტიდან და ფასიანი

ქალაქების გამოშვებისა და ადგილობრივი ბაზრის გამჭვირვალობის მხრივ მაღალი სტანდარტების დაწესებიდან.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

სააქციო საზოგადოება „Georgia Capital“

„Georgia Capital“ არის ჰოლდინგური კომპანია, რომელიც ჯანდაცვის, სადაზღვეო, სასმელების, ელ. ენერჯისა და წყალმომარეგების მომსახურების, უძრავი ქონების სფეროებში მომუშავე ბიზნეს სუბიექტების დივერსიფიცირებული ჯგუფია. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ 150 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო; მოგებამ პროცენტის, მოგების გადასახადისა და ცვეთის გამოკლებამდე (EBITDA) 46 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ჯამური აქტივების ღირებულებამ 1,078 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. კომპანიას მოქმედ შვილობილ კომპანიებში მთელი ქვეყნის მასშტაბით დასაქმებული ჰყავს 16,000 ადამიანზე მეტი და საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია.

დღეის მდგომარეობით, „Georgia Capital“ სრულად იმყოფება ლონდონის საფონდო ბირჟის უმაღლეს კატეგორიაში კვოტირებული „BGEO“ ჯგუფის მფლობელობაში (რომელიც „FTSE 250“ ინდექსში ირიცხება). „BGEO“ ჯგუფი ფუნქციონირებს ჰოლდინგური კომპანიის პრინციპით, რომლის ორ ძირითად აქტივს წარმოადგენს სს „საქართველოს ბანკი“ და სს „Georgia Capital“.

ინფორმაცია ევრობანკის დაფინანსების შესახებ

60 000 000 აშშ დოლარი

60 მილიონ აშშ დოლარამდე „Georgia Capital“-ის მიერ შემოთავაზებული 300 მილიონ აშშ დოლარამდე ევრო-ობლიგაციებიდან.

პროექტის ჯამური ღირებულება

300 000 000 აშშ დოლარი.

გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტები

პროექტს მინიჭებული აქვს B კატეგორია. კაპიტალის ბაზრებზე განხორციელებული ოპერაციების ხასიათიდან და წესებიდან გამომდინარე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (შემდეგში „ევრობანკი“) გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების დეტალური შესწავლა ეფუძნებოდა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიმოხილვას,

რომელიც შეგროვებული იქნა სს „BGEO“ საინვესტიციო კომპანიის მიერ შევსებული გარემოსდაცვითი და სოციალური კითხვარის გამოყენებით. ხსენებულმა მიმოხილვამ ცხადყო, რომ სს „BGEO“ ჯგუფს ადექვატური საკადრო რესურსები და უსაფრთხოების პოლიტიკა გააჩნია, რითაც ის შესაბამისობაში იმყოფება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მე-2 და მე-4 შეფასების კრიტერიუმებთან. არსებული პორტფელური კომპანიები (მაგ. სასმელების წარმოება, წყალმომარაგება და წყალარინება, ურბანული განვითარება და დაზღვევა) ხასიათდება გარემოსდაცვითი და სოციალური მცირედად გამოხატული რისკებით; ამავდროულად, ისინი შესაბამისობაში არიან ეროვნულ გარემოსდაცვით და სოციალურ კანონმდებლობასთან. ამ ეტაპზე, სს „BGEO“ ჯგუფს არ გააჩნია მთელი ჰოლდინგისთვის განსაზღვრული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურები.

პროექტის მიზნებისთვის და სამომავლო ინვესტიციებისთვის სს „BGEO“ ვალდებულია შეიმუშაოს ამგვარი რისკების მართვის პროცედურები, რითაც დაკმაყოფილდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეფასების კრიტერიუმები და წლიური გარემოსდაცვითი ანგარიშიც წარედგინება ევრობანკს. ყველა ეს მოთხოვნა ასახული იქნება ჩარჩო ხელშეკრულებაში.

ტექნიკური თანამშრომლობა

არ არის აქტუალური

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

გიორგი ალფაიძე

g.alpaidze@bgeo.com

995 322 444 190

995 322 444 444

www.bgeo.com

სს „Georgia Capital“, საქართველო, თბილისი 0179, ტატიშვილის ქ. N3-5.

საქმიანი ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობები

საქმიანი ურთიერთობების დასამყარებლად ან შესყიდვების პროცესში ჩართვისთვის დაუკავშირდით კომპანიას.

ზოგადი სახის ინფორმაცია და ცნობები

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტებთან დაკავშირებით საცნობარო ინფორმაცია - შესყიდვების საკითხების გარდა - შესაძლებელია მიიღოთ:

ტელ: 44 20 7338 7168; ფაქსი: 44 20 7338 7380

ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

ინფორმაციის განსაჯაროების პოლიტიკა

ინფორმაციის განსაჯაროების პოლიტიკაში განსაზღვრულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ინფორმაციის გაცემის და დაინტერესებულ წრეებსა და მხარეებთან კონსულტაციების მეთოდი, რათა ხელი შეეწყოს მისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და საქმიანობის უკეთ გაგებასა და გაცნობიერებას.

პროექტების გასაჩივრების მექანიზმი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შექმნილი აქვს პროექტების გასაჩივრების მექანიზმი, რათა ერთი ან მეტი ადმიანისგან ან ორგანიზაციიდან შემოსული საჩივრების დამოუკიდებელი მიმოხილვის შესაძლებლობა არსებობდეს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების თაობაზე და რაც საჩივრის ავტორის მოსაზრებით შეიძლება იწვევდეს ან გამოიწვიოს ზიანი.

პროექტების გასაჩივრების მექანიზმის სახელმძღვანელო პროცედურული წესები

ნებისმიერი საჩივარი წარმოდგენილი უნდა იქნეს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ თანხების ბოლო ნაწილის გამოყოფიდან არა უგვიანეს 12 თვის შემდეგ. საჩივრის შემოტანის ვადებთან დაკავშირებული გაურკვევლობის შემთხვევაში, დახმარებისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ოფიცერს (ელ. ფოსტა: pcm@ebrd.com) ან შესაბამის ქვეყანაში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მუდმივ წარმომადგენელს.